ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

38 (9928) • 10 oqtomberi • 2011 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

რის სათქმელად ჩამოვიდა სარკოზი საქართველოში?

tavisupleba.org
ავტორი ლელა კუნჭულია

7 ოქტომბერს თბილისში, თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანის წინაშე ერთად წარდგნენ საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტები. მათ არაერთხელ ახსენეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, მოვლენა, რომელმაც სამუდამოდ დაუკავშირა ნიკოლა სარკოზის სახელი საქართველოს. ომის შესაჩერებლად გამოჩენილი ძალისხმევისთვის საფრანგეთის პრეზიდენტმა ქართველი კოლეგისგან კიდევ ერთხელ მიიღო გულითადი მადლობა. რას ფიქრობს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგებზე საფრანგეთის პრეზიდენტი და რის სათქმელად ჩამოვიდა ის საქართველოში?

არაერთდღიანი ვარაუდების, პროგნოზებისა და კამათის შემდეგ, 7 ოქტომბერს საღამოს, დაახლოებით 6-ის ნახევარზე, საქართველოს მოქალაქეებმა თავისი ყურით მოისმინეს, თუ რის სათქმელად ჩამოვიდა საქართველოში საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი.

ყოველგვარი სტრატეგიული ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ნაკისრი ვალდებულების უგულებელყოფით, მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები არა თუ დარჩა, არამედ გაძლიერდა თქვენს კართან, გამყოფი ხაზის გადაღმა...

თუკი მოკლედ ვიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ მას ახალი და განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მაგრამ თავისუფლების მოედანზე ათასობით ადამიანის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ნიკოლა სარკოზიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა - მაგალითად, ის, რომ საფრანგეთი და მთელი ევროპა მტკიცედ ერთგული რჩება საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი და მისმა ამ სიტყვებმა ხალხში განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია.

ნიკოლა სარკოზიმ თქვა ისიც, რომ საქართველომ თავად უნდა აირჩიოს მოკავშირეები და რომ ამ ქვეყანას თავისუფლად შეუძლია გამოხატოს ნატოში გაწევრიანების მისწრაფებები. არ გამართლდა საზოგადოებაში არსებული მოლოდინი იმის შესახებ, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს შესაძლოა რაიმე კონკრეტული ეთქვა საქართველოს მხარდაჭერაზე ნატოში ინტეგრაციის კონტექსტში, თუმცა მან ზოგადად ბევრჯერ გაიმეორა, რომ საქართველოს მეგობარი საფრანგეთი მხარში ამოუდგება საქართველოს, თავად აირჩიოს მოკავშირეები და დაუახლოვდეს ევროპას. ამისათვის კი საქართველომ, რომელმაც ბევრს მიაღწია ვარდების რევოლუციის შემდეგ, კიდევ ბევრი გამოწვევის დაძლევა მოეთხოვება და მათ შორის ერთ-ერთ მთავარ ადგილს დემოკრატიული განვითარების გაგრძელება იკავებს.

საფრანგეთის პრეზიდენტი, ცხადია, იხსენებს 2008 წელს, როდესაც ის, როგორც ევროკავშირის მორიგე თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტი, პირადად იყო ჩართული ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიანი გეგმის შემუშავებაში და მოგვიანებით მის დაზუსტებაში, 8 სექტემბრის დოკუმენტის სახით. გავიხსენოთ, რომ 2008 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ნიკოლა სარკოზი ორჯერ იმყოფებოდა საქართველოში, მაგრამ, დიდი მოლოდინის მიუხედავად, ის არც ერთხელ გამოსულა ქართველ ხალხთან შესახვედრად, როგორც ეს იმ პერიოდში სხვა ქვეყნების არაერთმა ლიდერმა გააკეთა.

თუმცა ქართველი ხალხის და სარკოზის შეხვედრა 3 წლის შემდეგ მაინც შედგა იმ რეალობის ფონზე, რომ რუსეთი ჯერ ისევ არ ასრულებს 6-პუნქტიან შეთანხმებას. რა პასუხი აქვს ამაზე ნიკოლა სარკოზის? ის ამბობს, რომ ყველა ხელმომწერმა უნდა შეასრულოს შეთანხმებებში აღწერილი ვალდებულებები და რომ მისაბაძია საქართველოს პრეზიდენტის შარშანდელი მაგალითი:

''საქართველომ აჩვენა თავისი ნება, როდესაც პრეზიდენტმა საკაშვილმა ევროპარლამენტის წინაშე საზეიმოდ აიღო ვალდებულება, რომ არასოდეს გამოიყენებს ძალას საქართველოს სუვერენიტეტის აღსადგენად ორივე წართმეულ რეგიონში. და 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებების ხელმომწერმა ყველა ქვეყანამ უნდა იგრძნოს და იკისროს ეს ვალდებულება.''

თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოსვლისას ნიკოლა სარკოზიმ კიდევ ერთხელ გაიხსენა ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის როლი მშვიდობის შენარჩუნებაში და თქვა, რომ ევროპელ დამკვირვებლებს უნდა შეეძლოთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შესვლა. ითქვა, რომ ნდობის აღდგენისა და პრობლემების დაძლევის მიზნით მხარეებმა უფრო ''აქტიურად და გულწრფელად უნდა იმონაწილეონ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში'', ხოლო იძულებით გადაადგილებულ პირებს უნდა მიეცეთ საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება.

სარკოზიმ უთხრა ქართველ ხალხს, რომ ესმის, რა ძლიერია ქვეყნის ტერიტორიის ნაწილის ''წართმევით'' გამოწვეული ტკივილი.

''ყოველგვარი სტრატეგიული ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ნაკისრი ვალდებულების უგულებელყოფით, მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები არა თუ დარჩა, არამედ გაძლიერდა თქვენს კართან, გამყოფი ხაზის გადაღმა'', - ამბობს საფრანგეთის პრეზიდენტი, მაგრამ ამ კონტექსტში ის არ ასახელებს, თუ რომელი ქვეყანა არ გადის საქართველოს ტერიტორიიდან ანდა რა ჰქვია ამ ყველაფერს.

რუსეთი მან მხოლოდ რამდენიმე ადგილას ახსენა და ისიც დადებით კონტექსტში - მაგალითად,

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ბიძინა ივანიშვილი პრობლემების მოგვარებას ორ-სამ წელიწადში აპირებს, შემდეგ კი პოლიტიკიდან წასვლის პირობას დებს

მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი საქართველოში არსებული პრობლემების მოგვარებას ორ-სამ წელიწადში აპირებს ამის შემდეგ კი პოლიტიკიდან წასვლის პირობას დებს. ამის შესახებ მილიარდერი თავისსავე გავრცელებულ განცხადებაში საუბრობს.

"პრობლემების მოგვარებას ორიდან სამ წლამდე დასჭირდება, მე ამის შემდეგ ვაპირებ წავიდე პოლიტიკიდან, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის განვითარებაში", — წერს ივანიშვილი თავის განცხადებაში.

ghn.ge

„ხუთას საწოლიანი საავადმყოფო ოზურგეთს აღარ სჭირდება“

მარი კოკოევი

ბოლო დროს საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია ოზურგეთის სამედიცინო სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა. „აერსის“ კლინიკის მშენებლობამ და მასში ყველა სამედიცინო დაწესებულების გაერთიანებამ ბევრი კითხვა გააჩინა. პასუხების გასაგებად ახალი საავადმყოფოს კლინიკურ დირექტორ დავით მდინარაძეს ვესაუბრეთ. მას „ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში“ შევხვდით, სადაც ჯერ კიდევ, ახალ კლინიკაში გადასვლამდე ჩვეულ რეჟიმში მუშაობენ.

დავით მდინარაძე: —ახალი საავადმყოფოს მშენებლობა სავარაუდოდ ნოემბერში უნდა დამთავრდეს, დეკემბერში ალბათ უკვე გადავალთ, ახალი წლისათვის იქ უნდა ვიყოთ.

—ახალ კლინიკაში ძველი თანამშრომლები დასაქმდებიან თუ ახალი კადრების შერჩევა მოხდება?

— მედპერსონალს, რომელიც ჩვენს სამედიცინო დაწესებულებაში მუშაობდა, ყველას უკლებლივ პირველი ნოქტომბრიდან ერთი თვით გავუფორმეთ ხელშეკრულება. რაც შეეხება ხელფასებს, კონკრეტულ ადამიანის ერთი წლის სახელფასო გამომუშავება შეჯამდა და გაიყო თორმეტზე. ასე გავიგეთ, ერთ თვეში რამდენი გამოიმუშავა საშუალოდ. რაც მივიღეთ მაჩვენებელი, ის დაინიშნა ხელფასად ერთი თვის განმავლობაში. ისინი ამ თანხას მიიღებენ იმ შემთხვევაშიც, საერთოდ რომ არაფერი გააკეთოს. იმ შემთხვევაში, თუ უფრო მეტს გამოიმუშავებს, სხვაობას მივცემთ დანამატის სახით. ასე, რომ, ამ ეტაპზე ყველა თანამშრომელი აყვანილი იქნა სამსახურში.

—რა იქნება ერთი თვის შემდეგ?

—ერთი თვის შემდეგ იქნება გამოცდები. ტესტირებას ვინც გაივლის და ჩააბარებს, დარჩება სამსახურში, წინააღმდეგ შემთხვევაში—არა. მათი დასაქმებისთვის ტესტირება აუცილებელი პირობაა.

—ერთი შენობა როგორ დაიტევს რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებას?

—ეს საავადმყოფო გათვლილი იყო ხუთას საწოლზე. ხუთას საწოლიანი საავადმყოფო დღეს ოზურგეთს აღარ სჭირდება. მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით რომ იმუშაოს, შეიძლება 500 საწოლი დაიტვირთოს. თავის დროზე საჭირო იყო ამხელა საავადმყოფო. ახლა მოსახლეობა მიგრაციას განიცდის. ხალხი მიდის, მოსახლეობის რაოდენობა იმდენი აღარ არის და ხუთასსაწოლიანი საავადმყოფო საჭირო აღარ არის. აქაც თქვენ რომ უყურებთ, ხუთი სართულია, თორემ რეალურად ერთი სართული ფუნქციონირებს. ჩვენი გადასვლის შემდეგ ეს შენობები ინვერტართან ერთად ეკონომიკის სამინისტროს გადეცემა. ახალ კლინიკაში ახალ აპარატურას მივიტანთ.

ვულოცავთ!



საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტს, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს დავით შემოქმედელს ეროვნული კულტურის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ქალაქ თბილისის მერიის გადაწყვეტილებით მიენიჭა, "ქართული კულტურის დესპანის", საპატიო წოდება და გადაეცა ოქროს მედალი.

***

29 სექტემბერს, ლიტერატურულ კაფე "ქარავანში" გაიმართა აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნილი დავით შემოქმედელის წიგნის, "მზე ჩეროში შემოდგა" წარდგინება. საღამოს ესწრეოდნენ აზერბაიჯანიდან ჩამოსული სტუმრები, ამავე წიგნის მთარგმნელი, ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი, რაშიდ ფახრალი და "ვეფხისტყაოსნის" აზერბაიჯანულად მთარგმნელი, ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი, იმირ მამედლი.

რის სათქმელად ჩამოვიდა სარკოზი საქართველოში?

თქვა, რომ ,,საფრანგეთი რუსეთს სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს და რომ ევროპელები და რუსები ერთობლივად უზრუნველყოფენ თავიანთი ხალხების ''მდგრად კეთილდღეობას''.

შერიგებისა და მეგობრობისკენ ნიკოლა სარკოზი რუსეთსა და საქართველოსაც მოუწოდებს და რუსეთ-საქართველოს შერიგების თემა შეიძლება განვიხილოთ მისი გამოსვლის ერთ-ერთ მთავარ მესიჯად, რადგანაც ის ორჯერ დაუბრუნდა ამ საკითხს. ერთ-ერთ ფრაგმენტში მან ორ ქვეყანას ერთგვარი კონკრეტული რეცეპტიც შესთავაზა:

ყველაზე გავლენიანი უცხოური ძალის მარიონეტიც, ვერც ერთი ქვეყნის უცხო ჯარი, ვერც ერთი მეხუთე კოლონა ვერ შეძლებს ამ გზიდან ჩვენ აცდენას. და ჩვენი გზა, ჩვენი საბოლოო მიზანი ნათელია. ეს არის ევროპა...

''ნდობის აღსადგენად დაპირისპირების რიტორიკა უნდა შეწყდეს და უპირატესობა დიალოგს უნდა მიენიჭოს. ნდობის აღსადგენად უნდა დასრულდეს დაშინება, მუქარა და დესტაბილიზაციის მცდელობები. ეს მიუღებელია. ნდობის აღდგენის მიზნით თითოეულმა უნდა ჩათვალოს, რომ საბჭოთა კავშირი წარსულს ჩაბარდა და რომ მას გავლენის სფეროების პოლიტიკა ვერანაირად ვერ ჩანაცვლება.''

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ფრანგ კოლეგას 2008 წლის აგვისტოში გაწეული დვაწლისთვის და თქვა, რომ ევროპული დემოკრატიის გზაზე შემდგარი საქართველო, რომელმაც ვარდების რევოლუციის შემდეგ უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია, მარტო აღარ არის და რომ საქართველოს ევროპულ არჩევანს ალტერნატივა არ აქვს:

,,ნებისმიერი, ყველაზე გავლენიანი უცხოური ძალის მარიონეტიც, ვერც ერთი ქვეყნის უცხო ჯარი, ვერც ერთი მეხუთე კოლონა ვერ შეძლებს ამ გზიდან ჩვენ აცდენას. და ჩვენი გზა, ჩვენი საბოლოო მიზანი ნათელია. ეს არის ევროპა. ამას გვავალებს ჩვენი წარსული და ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი.''

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, არ არსებობს ძალა, რომელიც ევროპულ საქართველოს საბჭოთა კავშირში დააბრუნებს. ''ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და, მაშასადამე, ჩვენ ყველანი ევროპელები ვართ'', - საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას სიტყვების ერთგვარი ინტერპრეტაციით დაასრულა თავისი გამოსვლა მიხეილ სააკაშვილმა.

თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანი, რომელთა ერთი ნაწილიც რეგიონებიდან სპეციალური ავტობუსებითა და სამარშრუტო ტაქსებით ჩამოიყვანეს დედაქალაქში, საქართველოსა და საფრანგეთის პრეზიდენტებს დაახლოებით 40 წუთის მანძილზე უსმენდნენ.

ნიკოლა სარკოზიმ თავისი კავკასიური ტურნეს ბოლო ქვეყანა - საქართველო - 7 ოქტომბერს, ჩამოფრენიდან რამდენიმე საათში დატოვა.

,,ასავალ-დასავალის'' ერთი სტატიის გამო

დეპუტატ კახა ღლონტის გამოხმაურება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე ფრაქცია ,,ქრისტიანდემოკრატების'' ხელმძღვანელმა, დეპუტატმა კახა ღლონტმა თავისი პოზიცია გამოხატა გაზეთ ,,ასავალ-დასავალში'' პოლიტიკური პარტია ,,თავისუფალი საქართველოს'' რეგიონული მდივნის გია ყრუაშვილის არაეთიკური განცხადების გამო. რესპონდენტი ჟურნალისტ ნონა ბენდელიანთან ინტერვიუში –,,სამჯერ იყო პატრიარქის მოწამვლის მცდელობა'' შემოქმედელი მიტროპოლიტის, მეუფე იოსების შესახებ ამბობს: ,,ოზურგეთში ვიყავი და საკუთარი თვალით ვნახე, როგორ არის გადამჯდარი მეუფე იოსები ასიათასიან ,,ჯიპზე,'' ყოველ ღამე ტაშ-ფანდური აქვს გამართული თავის რეზიდენციაში და გვერდით კიდევ რესტორანს იშენებს! მეუფე იოსების ,,ჯიპის'' სანომრე ნიშანია იკა -555, ისე ძალიან უყვარს მიშა, რომ მისი საარჩევნო ნომერი აირჩია მანქანის ნომრად.''(გაზეთი ,,ასავალ-დასავალი, №39, გვ.6)

კახა ღლონტმა განაცხადა, რომ ჩვენ ყველა ვართ მეუფე იოსების სულიერი შვილები, მეუფის რეზიდენციის ხშირი სტუმრები ვართ და იქ არანაირი ტაშ-ფანდური არ გვინახავს. ეპისკოპოსის რეზიდენციის გვერდით ანტისანიტარიის ბუდე იყო და მოხერხდა, რომ ამორტიზებული შენობის დემონტაჟი მომხდარიყო. იქ არანაირი რესტორანი არ შენდება; რაც შეეხება ,,ჯიპს'' სანომრე ნიშნით ,,იკა-555,'' მოვიკვლიე და იგი ეკუთვნის ქ. თბილისში მცხოვრებ ისაკ ჯანაშვილს თუ ოსაშვილს.

ჩვენი პრეტენზია არ ეკუთვნის არც ,,ავალ-დასავალის'' რედაქციას და არც ჟურნალისტს. ჩვენი გულისწყრომის ადრესატი გია ყრუაშვილია, რომელმაც არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საზოგადოებას. ამიტომ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან არსებულ საზოგადოებრივი დარბაზის სხდომაზე უნდა მოვიწვიოთ პოლიტიკური პარტია ,,თავისუფალი საქართველოს'' რეგიონული მდივანი გია ყრუაშვილი და ავიხსნას, საიდან მოიტანა ეს ცრუ ბრალდებები. ხუთი შვილის მამაა და ცოდვა-მადლი არ აქვს?''

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა სიტყვიერი მხარდაჭერა გამოხატა ამ განცხადებისადმი.

დღე, რომელსაც მთელი მსოფლიო აღნიშნავს

10 ოქტომბერი ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღეა.''

ამ დღის აღნიშვნა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, მაგრამ მთავარი მაინც ის საყოველთაო სატკივარია, რომელსაც ზოგადად ფსიქიკური პრობლემა ჰქვია.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მოსახლეობის 10-%-ზე მეტს აღენიშნება ფსიქიკური დაავადებები. ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანები სტრესის, მძიმე დაავადების, სამსახურებრივი მდგომარეობის, სამსახურისა თუ პარტნიორის დაკარგვის გამო შეადგენენ 25 %-ს. დაახლოებით 500 მილიონზე მეტ ადამიანს აღენიშნება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

ამ სავალალო სტატისტიკას, თან ერთვის სპეციალისტთა დასკვნა:

–,,ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება დაავადდეს ცხოვრების ნებისმიერ პერიოდში, ისევე, როგორც შეიძლება გამოჯანმრთელდეს!''

ფსიქიკური და ნერვიული აშლილობები დაკავშირებულია ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასთან, ასევე, სოციალურ პირობებთან. ამ კუთხით, მდგომარეობა კიდევ უფრო გაამძაფრა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რამაც მეტად დაამძიმა დაავადებულ ადამიანთა მდგომარეობა. მრავალი მათგანი იტანჯება უსიტყვოდ, მრავალი–მარტოობაში.

საზოგადოების ნაწილი გულგრილად ეკიდება ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა მდგომარეობას. არც კი ფიქრობენ დაავადებულთა უფლებებზე და ითხოვენ მათ იზოლირებას.

–არის თუ არა აუცილებელი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის იზოლირება?–მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია კატეგორიულად პასუხობს–არა!!!

–,,ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ადამიანებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ცხოვრებაში, დაუშვებელია მათი იზოლირება და შეზღუდვა.''

სპეციალისტთა განმარტებით, ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობა, და არა მხოლოდ დაავადების ან დეფექტის არ არსებობა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ფედერაცია განსაკუთრებით ზრუნავს ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისთვის უფრო ადამიანური და ჰუმანური პირობების შესაქმნელად. მრავალი პროგრამა მოქმედებს დაავადებულთა დასახმარებლად და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ სამსახურში დგას საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციასთან ერთად შპს ,,ოზურგეთის ფსიქო-ნერვოლოგიური დისპანსერი'' ჩოხატაურის ფსიქიატრიული კაბინეტით. სამი ექიმი და ოთხი მედდა დიდი პასუხისმგებლობით და მაღალი პროფესიონალიზმით ემსახურება აღრიცხვაზე მყოფ თავის 1200 პაციენტს.

სახელმწიფო პროგრამის გათვალისწინებით, ოზურგეთსა და ჩოხატაურში, მაღალ დონეზე სრულდება პაციენტების უფასო კონსულტაცია, უფასო მედიკამენტების მიწოდება, უფასო სტაციონირება სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მეშვეობით.

პაციენტთა შორის განსაკუთრებული ადამიანებიც მრავლად არიან. როგორც ცნობილია, ფსიქიკურად დაავადებული ბევრი ადამიანი შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული. ფსიქიკური პრობლემის მქონე ბევრი ოზურგეთელი საინტერესოდ წერს, ხატავს და მათი ნამუშევრები ნამდვილად იმსახურებს ხელოვნების მოყვარულთა დიდ ყურადღებას. მკურნალ ექიმთან ინახება სხვადასხვა ავტორის ხელნაწერი არაერთი ლექსთა კრებული. კედლებს აშშვენებს ნიჭიერი მხატვრის, დიმა სურეგულაძის პეიზაჟები და სხვადასხვა მხატვრის მიერ შესრულებული კომპოზიციები. ამ ნამუშევრებში იგრძნობა მათი ავტორების სულიერი მდგომარეობა და სათუთი დამოკიდებულება სამყაროს მიმართ.

ფსიქო-ნერვოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ მანანა გოგუაძეს, ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ერთი სურვილი აქვს–რაც შეიძლება ნაკლებ ადამიანს აწუხებდეს ფსიქიკური პრობლემა და კარგი იქნება, თუ თითოეული მოქალაქე გულთან ახლოს მიიტანს ავადმყოფთა სატკივარს და შეუმსუბუქებს მათ ისედაც რთულ ყოფას.

ექიმი ფსიქიატრი ნანა მდინარაძე:–,,კარგი იქნება, თუ საზოგადოება უფრო გაგებით მოეკიდება ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მდგომარეობას და ექნება მათთან ისეთი დამოკიდებულება, რომ არ აგრძნობინონ თავი გარიყულად. საზოგადოებაში მათი ადაპტაცია რომ გაადვილდეს, თანაბარ მდგომარეობაში უნდა იგრძნონ თავი და ამაში მათ ყველას დახმარება სჭირდება.

ოზურგეთის ფსიქიატრიული სამსახური, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან, შპს ,,მედ-ალფას'' შემადგენლობაში გადავიდა. იმედოვნებენ, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდება მათი სამუშაო პირობები და პაციენტების მომსახურების ხარისხი.

ფსიქიატრები თვლიან, რომ ახალი სამედიცინო დაწესებულების გახსნა ოზურგეთში, ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დიდ სიკეთეს მოუტანს.

გოჩა ჭანიშვილი.

„ბევრ სკოლაში პრობლემებია შექმნილი“

ნინო ნიკოლაიშვილი

– თქვენ, ფერად-ფერადი რეფორმებით კიდევ ნუ დაამძიმებთ ისედაც დუხჭირი მოსახლეობის ყოფას და პირდაპირპროპორციულად პატარების ზურგჩანთებსაც. ნუ გამოფიტავთ რაიონს, პატარა ქალაქებს ახალგაზრდული მუხტისგან. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და საგანმანათლებლო რეფორმები თუ ინოვაციები ჩვენი მოქალაქეების ბიუჯეტს, შესაძლებლობებს მოარგეთ, – განაცხადა პრესკონფერენციაზე თავისუფალი დემოკრატების ოზურგეთის ორგანიზაციის გამგეობის წევრმა, კულტურისა და განათლების კომისიის ხელმძღვანელმა ნინო ლომჯარიამ. აღნიშნა, რომ განათლების მინისტრის განცხადება, რომ თითოეულ სახელმძღვანელოს ღირებულება 10 ლარს არ გადააჭარბებდა, არარეალური აღმოჩნდა და დაწყებითი და მომდევნო კლასების სახელმძღვანელოთა ღირებულება დაახლოებით 150 ლარს შეადგენს ერთი ბავშვისთვის, რასაც სხვა სასკოლო ნივთების ღირებულებაც ემატება.

ასევე ისაუბრა პირველკლასელთათვის კომპიუტერების საჩუქრად გადაცემის ფაქტზე, რაც მისი თქმით ძალიან კარგია, მაგრამ ქსელის გაუმართაობის გამო ბევრ სკოლაში პრობლემებია შექმნილი''.

***

საქართველოს ,,თავისუფალი დემოკრატების'' ლიდერი ირაკლი ალასანია დღეს ოზურგეთს ეწვევა.

„ფარცაკუკუდან“–„ფარცამდე“

ზაფხულის ერთ დღეს გიორგი ბოსტანში ჩაცუცქული პომიდვრის ჩითილებს რგავდა. ერთბაშად ადგილის მოსანაცვლებლად წამოდგა, ოდნავ წამოიწია და ჩაცუცქულმავე ერთი ნახტომი გააკეთა. ამ დროს ხანში შესულმა მეზობელმა გიორგის მისალმების ნაცვლად მიაძახა:

–რას შობი, ბიჭო გიორგი, მაქანაი, ,,ფარცაკუკუს'' ხომ არ თამაშობ?

–რა ბიძია სილევან, რა მითხარი, რას არ თამაშობო?

–,,ფარცაკუკუს'' ხომ არ თამაშობ მეთქი...არიცი ,,ფარცაკუკუ''–გაიმეორა მოხუცმა.

ასე დაიწყო ძველქართულ ცეკვასთან გიორგი სალუქვაძის პირველი სიახლოვე. სილევანმა რამდენადაც შეეძლო დაწვრილებით აუხსნა ცეკვის რაობა.

ანსამბლი ,,მეგობრობა'', 1995 წ.

–,,კაი ვარჯიში იყო ბიძიავ, დვაბზუდან ოზურგეთში ასე ხტუნვა-ხტუნვით ჩავიდოდნენ მოთამაშეები...''

–,,ფარცაკუკუ ფარცადინა, ყურსა სისხლი რამ გადინა?

–ლაშქარს ვიყავ დავიკოდე, ყურსა სისხლი მან მადინა..''

,,ფარცაკუკუსავით დავჯდომა– მუხლჩაკეცილი ჩავჯდომა..''

მრავალი მასალის მოძიების და ღვთისაგან დაბერტყილი ფანტაზიის წყალობით, ბატონმა გიორგი სალუქვაძემ საბოლოდ ჩამოაყალიბა მონუმენტური სურათი, რომელშიც ყველაფერი ლამაზი და წარმტაცია.

ბატონი ივანე შილაკაძე წერს:–,,თვით ყველაზე გულმრუდი კრიტიკოსიც ვერ მინახავს ამ 15-წუთიან ცეკვაში, თუნდაც ერთ მოძრაობა, ქართული ცეკვისათვის დამახასიათებლად არ ეჩვენოს. ამიტომ იყო, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში საქართველოს თვითმოქმედი კოლექტივების მე-7 ოლიმპიადაზე ,ამ ცეკვის პირველადე შესრულებისას დარბაზი ტაშისკვრისაგან ზანზარებდა.''(1951 წელი)

,,ფარცაკუკუ'' ომში გამარჯვებული მხედრების მასობრივი ცეკვაა. იგი სრულდება ქალებთან ერთად. გუნდი მღერის ვაჟკაცურ რიტმულ სიმღერას. სამი მხრიდან შემოდიან ერთმანეთზე მკლავებით გადაჯაჭვული , სხვადასხვა ფერის ჩაქურებში გამოწყობილი მებრძოლები. შეიკვრება სამი წრე. ცენტრალური წრის 13 კაცი მხრებზე შეისვამს ხუთ კაცს და ორსართულიანი ფერხული გაჩაღდება. მათ კი სამი კაცი შეასხდება და სამსართულიან ფერხულს უვლიან. ამ წრის გარშემო ქალების წრეა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

144-ე თეატრალური სეზონი

ნინო ნიკოლაიშვილი

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა 144-ე თეატრალური სეზონი დაიწყო ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლით „ნაფტალინი“.

სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი შოთა ბაბილოძე გახლავთ; მხატვარი გია გვიჩია; მუსიკალური გამფორმებელი მამუკა ბაბილოძე; ქორეოგრაფი მარიკა ქვეითაია; რეჟისორის ასისტენტი იური ჯიჯიეშვილი; მოქმედი პირნი და შემსრულებელნი: ნუნუ — ვერიკო ხუხუნაიშვილი; რეზო (ნუნუს ქმარი) - ივანე ჩხაიძე; ლელა (ნუნუს ნათესავი) - თეა კეჭაყმაძე; კობა (ლელას საქმრო) - გენადი ნიკოლაიშვილი; ვასილ მჟავანაძე - თემურ კვირკველია; წმინდა ილარიონი - ნუგზარ ბარამიძე, დამსახურებული არტისტი; ეშმაკი-ნინო ჯუღელი; ღოჯიანი ქალი - ბელა კიკვაძე; ყოფილი პარტკომი - იური ჯიჯიეშვილი; რეზოს საყვარელი - თეა ჯიჯიეშვილი; სტალინის სული -ალექსანდრე ლომაძე; ანგელინა კოზიუბა - თამარ მდინარაძე; ავთო (ვირტუალური მოწმე) - გიორგი ბაბილოძე; ანგელოზები - ანი შაქარიშვილი, მარი შაქარიშვილი; სპექტაკლში წარმოდგენილია სააქაოსა და საიქიოს ცხოვრების ელემენტები. სააქაოსი, სადაც თავისი ცხოვრების წესს ადამიანი წარმართავს და საიქიოს, სადაც სააქაოს ცხოვრების წესის მიხედვით განაკუთვნებენ მათთვის ადგილს ან ეშმაკი, ან ანგელოზნი და წმინდანნი. ასე ხვდება ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი ნუნუ საიქიოში, რომლის იქ წასვლა მისივე ნათესავი გოგოს ლელას და მისი საქმროს მზაკვრობას უკავშირდება, რადგან მათ ნუნუს ბინის ხელში ჩაგდება უნდათ. საიქიოში კომპიუტერსაც შეუღწევია. მოძველებული ტექნიკის ინფორმაციით განიკარგება ადამიანის ადგილი იმქვეყნად. აქაც ხდება ცდომილება და ნუნუს ადგილი შემთხვევით ჯოჯოხეთში აღმოჩნდება. მას ბელა კიკვაძის გმირის - ღოჯიანი ქალის ცოდვებს მიაწერენ. ასე ნახულობს ჯოჯოხეთში თავის ქმარს, და სხვა ნაცნობებს, მათ შორის ისტორიულ პიროვნებებს. აქ არ იფარება ამქვეყნად ჩადენილი ცოდვები. ეშმაკს გამოუჩნდა თავისი საქმე და განკითხვის ბორბალი იწყება. თუმცა ბოლოს სიმართლე ირკვევა და აღმოჩნდება, რომ ნუნუ არ არის ის ქალი. ის ჯოჯოხეთს ტოვებს. თუმცა შემდეგი მისი ადგილი უკვე მაყურებლის გადასაწყვეტია.

აღნიშნული სპექტაკლის მიმართ საზოგადოებაში სხვადასხვა შეხედულება გამოითქვა.

შოთა ბაბილოძე, რეჟისორი: ლაშა ბუღაძის ეს პიესა ორჯერ უკვე დაიდგა სხვა თეატრებში. დღეს, როცა ამდენი ცოდვა ტრიალებს ადამიანთა შორის, მინდოდა მათთვის მეჩვენებინა, რომ აქაც და იქაც ყველაფერი უკეთესად იქნება, თუკი ამქვეყნიური ცხოვრების წესი იქნება უფრო სუფთა და ნათელი. მეტად ეყვარებათ და ერთმანეთს გაუფრთხილდებიან.

„სასიხარულოა, რომ ოზურგეთის თეატრი ლამაზად აისახა საქართველოს თეატრალურ რუკაზე“

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა უკვე მეორედ მიიღო მონაწილეობა საქართველოს თეატრალურ ფესტივალში, რომელშიც ქვეყნის რეგიონებიდან მხოლოდ 5 თეატრი იყო მიწვეული. ფესტივალის შთაბეჭდილებებსა და მომავალი გეგმის შესახებ „ალიონი“ თეატრის მმართველს **ზაზა ჯინჭარაძეს** ესაუბრა.

—„ფესტივალზე წარვადგინეთ გურამ ბათიაშვილის პიესის მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „ლალი, სიყვარული და სხები“ რეჟისორი ოთარ კუტალაძე. სპექტაკლი დაიდგა თავისუფალ თეატრში, სადაც სცენის სიმცირის გამო მოგვიხდა ნაწილობრივ გადაკეთება და ახლებური სახის მიცემა. იქ არსებული ტექნიკის, განათებისა და სცენოგრაფიის მეშვეობით, მართლაც კარგი სპექტაკლი გამოვიდა. ძალიან ვინერვიულეთ, რადგან გვესწრებოდა თეატრალური საზოგადოება, ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, თეატრმცოდნეები. საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე მიგვიწვია მომავალი წლის ფესტივალზეც. ასევე გეტყვით, რომ, რამდენიმე თეატრს შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჩვენი თეატრის პრეზენტაციაც.

ამჟამად მოწვეული გვყავს ცნობილი რეჟისორი ვასილ ჩიგოგიძე, რომელიც მუშაობს სპექტაკლზე „გამარჯობათ ხალხო“ და სულ მალე ჩვენ სცენაზე გავაცოცხლებთ ნოდარ დუმბაძის უკვდავ გმირებს. ეს სპექტაკლი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით იდგმება, რისთვისაც, და კიდევ სხვა მხარდაჭერისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს გუბერნატორს ვალერი ჩიტაიშვილს, საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო

მამეშვილს, მუნიციპალიტეტის გამგებელს ილო ვაშაყმაძეს. ამ სპექტაკლის დადგმით, ჩვენ საშუალება გვექნება პანევეჟისში გასამგზავრებლად.

რაც შეეხება აქაურ მუშაობას, ჩვენ ჩვეულებრივ რეჟიმში, ყოველ პარასკევს გავაგრძელებთ სპექტაკლების დადგმას. გვექნება გასვლითი ჩვენებები სოფლებში.

მინდა გითხრათ, ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ჩვენს მაყურებელსა და გულშემატკივარს, როელნიც მთავარი სტიმულია ჩვენი მუშაობისა, მადლობა ყველა მედიასაშუალებას მხარდაჭერისა და ჩვენი მუშაობის ოპერატიულად გაშუქებისათვის.

***

თბილისში გამართული ფესტივალის შესახებ მასალები მოგვაწოდა თეატრის პრესსამსახურის უფროსმა ლია კილაძემ.

დასის წევრები გასნაკუთრებით ემზადებოდნენ ფესტივალისათვის და სამართლიანად მოიპოვეს მაყურებლის ოვაციები, რომელთა შორის იყვნენ თეატრალები ინდოეთიდან, კრიტიკოსები და გულშემატკივრები.

ამირან ქადეიშვილი, მსახიობი: „ — ოზურგეთის თეატრი ეს არის ჩემი სამუშაო, ოჯახი, სამშობლო...სახლი. მე გავიზარდე ოზურგეთის თეატრში, თექვსმეტი წლის მოვედი თეატრში და დავვაჟკაცდი. მაგ თეატრთან მაკავშირებს ჩემი ყველა შემოქმედებითი სიხარული. ამ თეატრმა გამიხსნა გზა კინოსაკენ, მომცა ძალიან დიდი მადლი და მიყვარს ძალიან, თეატრიც ოზურგეთიც, იქაური კენჭიც კი მიყვარს... დღეს ვარ აღფრთოვანებული, მშვენიერი სპექტაქლი ჩამოიტანეს.

გურამ ბათიაშვილი, ავტორი: „ — ეს პიესა დაწერილია 1974 წელს რეჟისორ თემურ ჩხეიძის თხოვნით. მას აქვს დიდი ისტორია: დაიდგა საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, გერმანიაში... შარშან პიესა გავაახლეთ ოთარ კუტალაძის წინანდადებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს სპექტაკლი ათასგზის მინახავს, ძალიან დიდი ემოცია გამოიწვია დღევანდელმა ჩვენებამ.

მადლობა ოზურგეთის თეატრს და ბატონ ზაზას ასეთი სერიოზული მუშაობისათვის.

გუბაზ მეგრელიძე:, კრიტიკოსი: „ — დღევანდელი სპექტაკლი ძალიან საინტერესოდ და კარგად წარიმართა. მიმდინარეობდა რიტმულად, ჩავარდნების გარეშე, მსახიობები თამაშობდნენ საინტერესოდ, უსმენდნდნენ ერთმანეთს, ფიქრობდნენ სცენზე და ეს ყველაფერი საგრძნობი იყო. ოზურგეთში ნათამაშებ პრემიერასთან შედარებით იყო უფრო შეკრული, დახვეწილი.

ლარისა ხაჭაპურიძე, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკედემიკოსი, რეჟისორი: „ — მსახიობებმა მოიტანეს მაყურებლამდე ტკივილი, განსაკუთრებით, ანეტამ (ბელა კიკვაძე), ჩვენ უსიტყვოდ ვხედავდით, როგორ ღებულობდა იგი დანაშაულსა და უდანაშაულობას. ოზურგეთის თეატრი დგას თავის სიმაღლეზე. წარმატებებს ვუსურვებ სამომავლოდ.

საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში ოზურგეთის თაეტრმა მიიღო მნიშვნელოვანი წინადადებები, რაც სამომავლო საქმიანობაში აისახება.

თეატრის მმართველის ზაზა ჯინჭარაძის სიტყვებით, საერთაშორისო ფესტივალში მონაწლეობა კიდევ უფრო ზრდის ოზურგეთელთა პასუხისმგებლობას, მოტივაციას, რაც განვითარებისა და წინსვლის შანსს ზრდის.

ალეგრობა

„ალეგრობა“ გურიაში ძველთაგანვე მეტად მიღებული სანახაობა იყო



.—„ალეგრობა“ საუკუნეთა წინ გავრცელებული დღესასწაული გახლდათ გურიაში—ამბობს ოზურგეთის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი, ისტორიკოსი მანანა ლომაძე ჟურნალისტ ე. ერაძესთან ინტერვიუში (გაზ. „კვირის პალიტრა,“ 2010 წ.) „ალეგრო“ იტალიური სიტყვაა და ნიშნავს „ჩქარ მუსიკას.“ მართალია გურულები მუსიკალურობით იტალიელებს ვერ შეედრებოდნენ, მაგრამ „ალეგრობა“ გურიაში ძველთაგანვე მეტად მიღებული სანახაობა იყორებიან, მაგრამ გურიაში იმდენი იტალიელი იყო, ხელად გადმოიღეს მათგან სანახაობები და ერთ მშვენიერ დღეს გურულ-იტალიური ზეიმიც მოაწყვეს, რომელსაც სტუმრების ხათრით „ალეგრობა“ დაარქვეს. მერე კი მიადგნენ და მთლიანად გააგურულეს.“

„ალეგრობას“ ძირითადად საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა. ამაზე მეტყველებს 1896 წელს ქაქუთის დაწყებითი სკოლის დამაარსებლის რაჟდენ კონტრიძის ჟურნალ „კვალისადმი“ მიწერილი წერილი: „მოვაწყვეთ ლატარია-ალეგრო,“ გაკეთდა შემოწირულობანი, შემოსული თანხა 49 მანეთი და 20 შაური შეგროვდა სკოლის სასარგებლოდ.“

1927 წლის 13 სექტემბერს ლიხაურის თემის კულტ. სექციის კრების დადგენილებაში ვკითხულობთ ტრადიციული „ალეგროს“ მოწყობის შესახებ: „გაიშვას „ალეგრო“ სამკითხველოსა და აფთიაქის შენობის ასაგებად 25 სექტემბრისათვის. „ალეგროსთან“ ერთად დაიდგას წარმოდგენა. მოწყობა დაევალოს აპოლონ კონტრიძეს. (ოქმი №4, 1927 წ.)

განსაკუთრებით ცნობილი იყო ლიხაურის „ალეგროები,“ რომლებიც ჯვარზე იმართებოდა. მასში ჭანიეთლებიც მონაწილეობდნენ. როგორც ცნობილი ლოტბარი, აწ გარდაცვლილი მიხეილ შავიშვილი იგონებს, —„შეიკრიბებოდა ხალხი, ყიდულობდნენ შემოწირულ სურსათ-სანოვაგეს და 50-60 სუფრა მაინც იშლებოდა. იწყებოდა მაგიდებს შორის შეჯიბრი —სიმღერით პაექრობა, თუმცა არ ირღვეოდა ტრადიციული სუფრის წესი, ყოველ სასმისს შესაფერისი სიმღერა მოჰყვებოდა. საინტერესოა, რომ ამგვარმა სიმღერით პაექრობამ განაპირობა სწორედ (ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში) ლექსად პაექრობა-შაირობა.“

„ალეგრობას“ იხსენებს ნიაბაურელი ოლია (ჭუჭულა) სალუქვაძე (96 წ.), რომლის ნაამბობი სხვა მხრივაც საინტერესოა: „ჭანიეთში ბიძაშვილი მყავდა გათხოვილი, ანეტა სალუქვაძე, ცინცაძეს ჰყავდა ცოლად. აჭის ეკლესიასთან ვცხოვრობდით, ნიაბაურის ტყიდან ხშირად დავდიოდით ჭანიეთში. ამ ორ სოფელს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან.

აჭი იყო საგარაკო ადგილი და ხშირად მოდიოდნენ დამსვენებლები ახლობლებთან. ასევე სამხიარულოდაც იკრიბებოდნენ. საღამოობით იმართებოდა ცეკვა-სიმღერა, ლექსების თქმა. განსაკუთრებით მახსოვს „ალეგრობა“ აჭში. ილარიონ სალუქვაძის ოჯახში ამზადებდნენ სადილს: მჭადი, ლობიო, ქათამი, ხაჭაპური და ჰყიდნენ დამსვენებლებზე. გამყიდველებად ვიყავით ჩვენ, ბავშვები (მაშინ ალბათ 12 წლის ვიქნებოდი), ერთმანეთს ვეჯიბრებოდით ვინ მეტს გაყიდდა და მეტ ფულს აიღებდა, ის იყო გამარჯვებული. ფულს უფროსებს ვაბარებდით. მერე ისინი გაჭირვებულებს, სკოლას, ეკლესიას ეხმარებოდნენ. „ალეგრობაზე“ ჭანიეთლებიც მოდიოდნენ.

აჭი მაშინ „მიღებული“ სოფელი იყო და ყველას უყვარდა იქ მოხვედრა. ჭანიეთლები, ჩემი ბიძაშვილებიც მოდიოდნენ, ჩვენც ხშირად მივდიოდით მათთან, ნიაბაურის ტყიდან, მერე სასაფლაოს გავივლიდით. მახსოვს, სასაფლაოზე ქვის პატარა ეკლესია იყო, ვერ ვიხსენებ, სად იდგა. ჭანიეთი განთქმული იყო გემრიელი ხილით, განსაკუთრებით კორკიმელი იყო ბევრი და კარგი. მსხლები, ბლები „ალიქმელიქი,“ „მაგარა.“ ქვევით სოფლის ცენტრში გზის პირას დუქანი იდგა, სადაც პროდუქტები იყიდებოდა.“(ო. სალუქვაძის ნაამბობი ჩაიწერა ლალი ლომჯარიამ).

ჭანიეთშიც იმართებოდა „ალეგროები,“ მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მიხეილ შავიშვილი იხსენებდა ერთ-ერთ ინტერვიუში: „ჭანიეთის „ალეგროს“ ჩვენი ეკლესია შეეწირა.“—რისთვის და რა ვითარებაში, ამაზე არაფერს ამბობს.

ჰამლეტ სურგულაძის მონათხრობით, ჭანიეთის ერთი „ალეგრო“ მთლიანად შეუსყიდია ლიხაურელ ნოე თოიძეს.

„ალეგრობა“—ეს მშვენიერი დღესასწაული, საჭირო ტრადიცია დღეს მივიწყებულია, უკანასკნელი „ალეგრობის“ ჟრიამული მსოფლიო ომმა ჩაახშო,“—წერს იმავე ინტერვიუში მანანა ლომაძე. პროფესორი იური სიხარულიძე კი თავის სოფელ გოგოლესუბანში (ჩოხატაურის რაიონი) 1936 წელს დასწრებია უკანასკნელ „ალეგროს“ და დაწვრილებით აღუწერია.

„ალეგრობა“ თავისი შინაარსითა და დანიშნულებით საუკეთესოდ აქვს აღწერილი თ. კუნჭულიას წიგნში „ქალაქი და ტრადიციები.“

სულიკო ლომჯარია,
სოფ. ჭანიეთი.

„ფარცაკუკუდან“—„ფარცამდე“

მათ გარეთ კი ვაჟების. უცბათ იშლება სართულები და დაიწყებენ ერთსართულიან ფერხულს... მოცეკვავეთა სამი წრე საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობს. ერთბაშად მაყურებლის მხრიდან გაირღვევა წრე და იწყება ცეკვის მეორე ნახევარი. გამოყენებულია სოლოც, დუეტიც, ტრიოც, კვარტეტიც, კვინტეტიც, სექტეტიც, ოქტეტიც. ფინალში ტემპი კულმინაციას აღწევს. ყველანი ქმნიან ცოცხალ ჯაჭვს და ქუსლზე ხტომით ვაჟები ერთ მხარეს, ქალები მეორე მხარეს გადიან...“

ლ. ქვარაშაძე წერს:—„გიორგი სალუქვაძემ ხალხური შემოქმედების ღრმა წიაღიდან ამოიტანა შესანიშნავი ცეკვა „ფარცაკუკუ.“

„ფარცაკუკუ“—დღეს უკვე ულამაზესი ქართული ცეკვაა. იგი ჩვენი გურული ხალხის სიამაყეა. ხალხური შემოქმედების მოამაგის, დიდი ქართველის, გულადი, პურადი კაცის—გიორგი სალუქვაძის შემოქმედება, რომელიც იმთავითვე შევიდა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ოქროს ფონდში.

ოლიკო კობალავა.

ვულოცავთ

შაგონ ჯუმბერ ლიონელას, ყარგ შუხოშვილს, ყარგ შვგოშარს, ყაყურ ყაქს ვულოცავთ „ქართიული ყულტურის ამაგლარის" შულლითი ლაჯილლოვაშას ლა ვასურვებთ წარმატებებს ჰირალი ლა სახოგალოებრივ შემოქმედებითი ცხოვრებაში.

ხათუნა და მარინა მუჯირები.

ეწვიეთ ახალ მაღაზიას!

აქ მხოლოდ საბითუმო ფასებია

ქ. ოზურგეთში, გმირთა მოედანზე (დავით ალმაშენებლის ქ. №2) გაიხსნა მეორადი ევროპული საქონლის მაღაზია.

აქ თქვენ საბითუმო ფასად შეგიძლიათ შეიძინოთ ევროპის ქვეყნების საუკეთესო ფირმების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი.

ეწვიეთ, თავად დარწმუნდით!

„სიმღერა ჩემთვის ყველაფერია..."

ნინო ნიკოლაიშვილი, მარი კოკოევი

ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარებს საზოგადოება უკვე ძალიან კარგად იცნობს და იცნობს იმიტომ, რომ ეს ადამიანები თავიანთი მრავალმხრივი შესაძლებლობებით აკვირვებენ მსმენელთაც და მხილველთაც. მღერიან, ცეკვავენ, ლექსებს მხატვრულად კარგად კითხულობენ, თავადაც წერენ, სატავენ... ამ დღეებში მათ კიდევ ერთხელ მოხიბლეს მაყურებელი. მოხიბლეს და თავადაც დიდი ქველმოქმედების ავტორნიც გახდნენ. საქველმოქმედო კონცერტზე კიდევ ერთი სურპრიზი მოუმზადეს საზოგადოებას. მოიწვიეს და მაყურებელთ შესაძლებლობა მისცეს პროექტ „ნიჭიერის" შარშანდელი გამარჯვებული ვა-ნო ფიფია ეხილა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სცენაზე სიმღერაზე უსაზღვროდ შეყვარებული პატარა ვანო და ოზურგეთელი მასპინძლები. მღეროდნენ ისინი, მღეროდნენ გულით. მღეროდნენ ადამიანებისთვის, სიყვარულისთვის, საქართველოსთვის. „ქართველო ხელი ხმალს იკარ, სანამ ფრანგული ჭრისაო..." პატარა მომღერლის გულით ნამღერი არ შეიძლება სულსა და გულში არ ჩაექსოვოს მსმენელს და ხოლოდ მაშინ, თუ გული გულობს. კონცერტზე ნაჩვენები იყო ჟურნალისტ ხათუნა სალუქვაძის მიერ გადაღებული სახასიათო ფილმი ორგანიზაციის ბენეფიციარებსა და მოწვეულ სტუმარზე., მათ ურთიერთობებზე. ღონისძიების იდეის ავტორი და ერთ-ერთი ორგანიზატორი გახლდათ ასოციაციის პრეზიდენტი რომან ლომაძე, ღონისძიება მოამზადეს მუსიკოსმა ნატო ხომერიკმა, ხათუნა სალუქვაძემ, ლანა ლომაძემ, თამარ დუმბაძემ.

ეს ლამაზი კონცერტი ჩატარდა ბიზნესმენ ბეგი სიორიძის თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით. მუსიკალური დახმარება გაუწიეს ასევე მომღერალმა ვახტანგ ვაშაყმაძემ, ანსამბლ „ედელვაისის" ხელმძღვანელმა გიორგი ჩიხლაძემ, ქრისტინე მათითაშვილმა, მადლობა გადაუხადეს თეატრის მმართველს ზაზა ჯინჭარაძეს.

ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის გორა შანიძის სახელით ვანო ფიფიას საჩუქარი გადასცა მისმა ვაჟმა ვანო შანიძემ, ასევე საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილმა.

—„ჯერია და გურულები ძალიან მიყვარდა, მაგრამ რაც აქ ჩამოვედი კიდევ უფრო შემიყვარდა. ჩვენ სულ ერთად ვიქნებით." — გვითხრა პატარა მომღერალმა.

ბეგი სიორიძე, *ბიზნესმენი:* — მე ყოველთვის ამ ადამიანების გვერდით ვიქნები .საერთოდ ადამიანები მეტად უნდა ეცადონ,რომ მეტად უყვარდეთ ერთმანეთი. გული მეტკინა, რომ კონცერტზე კიდევ უფრო მეტი მაყურებელი არ მოვიდა.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული წერილის საფუძველზე, გატყობინებთ, რომ შ.პ.ს „სოკარ ჯორჯია გაზი—გურია"—ს ქსელზე სოფ გურიანთაში გაზგამანაწილებელი სადგურის შეცვლისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან ქალაქ ოზურგეთს, სოფელ გურიანთას, სოფელ შემოქმედსა და სოფელ ოზურგეთს შეეწყდება ბუნებრივი გაზის მიწოდება. აღდგენითი სამუშაოები 18 ოქტომბერს დასრულდება. ამ პერიოდის განმავლობაში ეტაპობრივად მოხდება ცალკეული უბნის ჩართვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

აცხადებს

აბიტურიენტების მიღებას მიზნობრივი ვგუფისათვის სამსახიობო ფაკულტეტზე, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში. (8-10 კაცის შემადგენლობით, აქედან 2 ადგილი იქნება უფასო).

მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ თეატრის კანცელარიაში ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა. დილის 11 საათიდან 18 საათამდე.

განცხადებები მიიღება 1 ნოემბრამდე.

თეატრის მმართველობა.

მუხრან ვახტანგაძის თასზე

ქ. ბათუმში ჩატარდა მუხრან ვახტანგაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირში საქართველოს გუნდების გარდა მონაწილეობდენენ სომხეთის ნაკრები და ბაქოს „ნეფთჩის" გუნდი.

60 კგ. წონით კატეგორიაში კარგად იასპარეზა ლიხაურელმა გიორგი ჯაფარიძემ. მან, მასზე ასაკით გაცილებით უფროს მოჭიდავეებს 4 შეხვედრა მოუგო და საბოლოოდ III ადგილზე გამოვიდა. (მწვრთნელი ალ. ბოლქვაძე).

66 კგ. წონით კატეგორიაში ასევე III საპრიზო ადგილზე გამოვიდა

ოზურგეთელი მორაგბეების წარმატება

საქართველოს პირველობის „ბ" ლიგაში მოასპარეზე ოზურგეთის „არწივებმა" წარმატებით იასპარეზეს საჩხერეში და ადგილობრივ „ჯრუჭს"45:5 სძლიეს.

გამომშვიდობება

ფინიშის სწორზე ვარ და ვასწორებ უსწორმასწორებს,
ბებერი ხარის რქაცა ხნავსო, დაიმახსოვრეთ!
გამოვეკერე ცას, ჩათვალეთ, როგორც გენებოს,
ბოლო სალმისთვის გამოვედი თბილისელებო!
მოგესალმებით, კარგის მთქმელს უნდა კარგი გაგებაც,
ჩემი სალამი არ ჩათვალოთ გამოსალმებათ,
სულით და გულით მუდამ თქვენთან რომ ვიყო ვინძლო,
თბილისს რომ რამე წამოსტკივდეს, საფლავშიც
ვიგრძნობ!

თქვენი **ბიზო ნიშნიანიძე.**

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ უკლებლივ ყველას, ვინც გაიზიარა ჩვენი ოჯახის მწუხარება, გიზო ნიშნიანიძის გარდაცვალების გამო.

პატივისცემით, **არსენ კეჭაყმაძე.**

ხსოვნა

ნათელა ჩხაიძე

წავიდა ჩვენგან ზნეკეთილი და გულისხმიერი, ფაქიზი სულისა და სპეტაკი სინდისის, უშრეტი ენერგიისა და აუცილებელი პასუხისმგებლობის მქონე, თავისი საქმის ღრმად მცოდნე, ქ. ოზურგეთის №5 ბაგა-ბაღის ყოფილი აღმზრდელი ქალბატონი ნათელა ჩხაიძე.

ქალბატონმა ნათელამ ათეული წლების მანძილზე თავდაუზოგავად იღვაწა ნორჩების სასიკეთოდ, ღრმა კვალი დატოვა მათი სულის დაფაზე. მრავალ თაობას დაულოცა გზა სკოლისაკენ. მისეულ ნიჭსა და უნარს უშურველად უნაწილებდა ახალგაზრდა კოლეგებს. სითბოთი და სიყვარულით სარგებლობდა საბავშვო ბაღის კოლექტივში და აღსაზრდელთა მშობლებში.

მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ღვთიური ნათელი მის ლამაზ სულს და სპეტაკ სახელს.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მე-5 საბავშვო ბაღის კოლექტივი;
პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 858 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru